ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა

საერთაშორისო პრაქტიკის სიტუაციური ანალიზი

თებერვალი, 2017

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ–ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. დოკუმენტი მომზადებულია პროექტის „სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საქართველოში“ ფარგლებში. აღნიშნულ პროექტს, ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ახორციელებს, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფინანსური მხარდაჭერით.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ–ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ–დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

შინაარსი

შესავალი 1

სიტუაციური ანალიზის მიზანი, ფარგლები და მეთოდოლოგია 2

სრული ხელმისაწვდომობა 3

შეზღუდული ხელმისაწვდომობა 8

შუალედური მიდგომა 11

დასკვნა 19

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციითა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გამტკიცებულია საქმის განხილვის საქვეყნოობის პრინციპი. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ. მსგავს ჩანაწერს შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, ისევე როგორც სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. მყარი საკანონმდებლო რეგულაციების მიუხედავად, ნიშანდობლივია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში მნიშვნელოვნად შეიცვალა მიდგომა სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის მხრივ. 2015 წლის ოქტომბრიდან, სასამართლო გადაწყვეტილებათა გაცემაზე დამკვიდრდა პერსონალურ მონაცემების დაცვის, საგადასახადო და კომერციული საიდუმლოების შემცველი მონაცემების არგუმენტაციაზე მითითებით უარის თქმის პრაქტიკა.

2016 წლის 12 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის შესახებ, რომელიც აწესებს ძალზედ შემზღუდველ რეგულაციებს და, თავის მხრივ, წინააღმდეგობაში მოდის არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოსთან. მიუხედავად ამისა, ახალი წესის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ იქმნება სასამართლო გადაწყვეტილებათა რეესტრი და პროაქტიულად გამოქვეყნების ბაზა, რომლის საშუალებითაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა, გაეცნოს სასამართლოს პრაქტიკას მის ინტერესის სფეროში შემავალ კონკრეტულ საკითხებზე.[1]

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, IDFI-მ შეისწავლა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება და მოამზადა მოკლე სიტუაციური ანალიზი.

[1] http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202016/250-2016.pdf

სიტუაციური ანალიზის მიზანი, ფარგლები და მეთოდოლოგია

მოცემული დოკუმენტის მიზანია სიტუაციური სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც დაინტერესებულ პირებს მიაწვდის ზოგადი სახის ინფორმაციას მართლმსაჯულების გამჭვირვალობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას შორის ბალანსის საკითხზე. დოკუმენტი მოკლედ მიმოიხილავს სასამართლო გადაწვეტილებათა ხელმისაწვდომობის მარეგულირებელ საკანონმდებლო ჩარჩოს ისეთ სახელმწიფოებში, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, შოტლანდია, ირლანდია, კანადა, შვედეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ბოსნია და ჰერცოგოვინა, სომხეთი, ახალი ზელანდია, სლოვენია, ხორვატია, გერმანია და ავსტრალია. დოკუმენტი ასევე მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის სტანდარტის მიმოხილვას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში.

აღსანიშნავია, რომ რიგი ქვეყნების შემთხვევაში შესაბამისი ნორმატიული აქტები არ არის ხელმისაწვდომი სხვა ენაზე გარდა ეროვნულისა. მოცემულ გარემოებაში წინამდებარე დოკუმენტი ეყრდნობა სხვადასხვა კვლევებს, ანგარიშებსა და აკადემიურ ნაშრომებს, რომლებიც აღნიშნული ქვეყნების შემთხევაში ფრაგმენტულად ფარავენ სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის სხვადასხვა ასპექტს. შესაბამისად, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, შეუძლებელია კვლევაში მიმოხილულ სახელმწიფოებში სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს ყველა ასპექტის დეტალური განხილვა, სისტემატიზაცია და შედარებითი ანალიზის განხორციელება.

ზემოთჩამოთვლილი სხვადასხვა ქვეყნის/სისტემის გამოცდილებისა და რეგულაციების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის საკითხზე არსებობს სამი ძირითადი მიდგომა:

1. **სრული ხელმისაწვდომობა** - ყველა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია სრულად, მხარეთა სახელებისა და გვარების მითითებით. დადგენილია კონკრეტული გამონაკლისები, როდესაც შესაძლებელია, შეიზღუდოს წვდომა. დაინტერესებულ პირებს აქვთ უფლება, მიიღონ საქმის მასალები.

2. **შეზღუდული ხელმისაწვდომობა** - სასამართლო გადაწყვეტილებები არ არის ხელმისაწვდომი სრული სახით, იფარება კონკრეტულ პირთა მაიდენტიფიცირებელი ყველა მონაცემი. გადაწყვეტილებათა გაცემა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა თანხმობით. აღნიშნულ კატეგორიაში შედიან ასევე სისტემები, სადაც ხელმისაწვდომია მხოლოდ უმაღლესი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებები. აღნიშნული გადაწყვეტილებები შესაძლებელია, ხელმისაწვდომი იყოს როგორც სრული, ისე დაშტრიხული სახით.

3. **შუალედური მიდგომა** - სასამართლო გადაწყვეტილებათა ასლების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქმის განმხილველი მოსამართლე ან/და საერთო

სასამართლოთა სისტემაში შემავალ სასამართლოებს აქვთ უფლება, საკუთარი შინაგანაწესით დაადგინონ რეგულაციები სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის საკითხზე. შესაბამისად, მოსამართლეს/სასამართლოს მინიჭებული აქვთ ფართო დისკრეცია განსაზღვროს სასამართლო გადაწყვეტილებათა გაცემის საკითხი.

დოკუმენტში დეტალურად იქნება განხილული თითოეული მიდგომა, მოყვანილი იქნება მაგალითები შესაბამისი იურისდიქციის მიხედვით და გამოვლენილ იქნება მნიშვნელოვანი მიგნებები.

სრული ხელმისაწვდომობა

აღსანიშნავია, რომ სისტემები, სადაც სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტია დანერგილი, ეფუძნება დათქმას, რომ **სამართალწარმოების საჯაროობის პრინციპის დაცვა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ნდობის არსებობას მმართველობის სასამართლო შტოს მიმართ და წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი.** მსგავსი მიდგომის ქვეყნებში სასამართლო გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია სრული სახით. არ ხდება ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვა. ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია არამარტო სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებები, არამედ სასამართლოს შუალედური/შემაჯამებელი აქტები. ხელისუფლების სასამართლოს შტოს გამჭვირვალობის კიდევ უფრო მაღალი სტანდარტის დადგენის მიზნით, ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს არამარტო სასამართლოს შემაჯამებელ თუ შუალედურ აქტებს, არამედ საქმის მასალებს, მოწმეთა ჩვენებებს, ექსპერტთა დასკვნებს და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ასევე საქართველოშიც, თუმცა მხოლოდ ზეპირი სახით, რადგან სასამართლო სხდომები არის ღია, ხოლო სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, წინასწარი ნებართვისა თუ გაფრთხილების გარეშე. მიუხედავად ამისა, სასამართლოები უარს ამბობენ გასცენ ანალოგიური მონაცემების შემცველი ინფორმაცია წერილობითი სახით.

სასამართლო გადაწყვეტილებათა სრული ხელმისაწვდომობის მქონე ქვეყნებში შუალედური/შემაჯამებელი აქტები უმრავლეს შემთხვევაში ქვეყნდება პროაქტიულად, შესაბამის ვებ-გვერდზე. სასამართლო გადაწყვეტილებათა პროაქტიულად გამოქვეყნებისთვის შექმნილი ვებ-გვერდები არის მომხმარებელზე გათვლილი, საძიებო სისტემები იძლევა სხვადასხვა კატეგორიისა მიხედვით ძებნის საშუალებას. ვებ-გვერდებით სარგებლობა მარტივად არის შესაძლებელი იმ პირთა მიერ, რომელთაც არ გააჩნიათ სპეციალური იურიდიული განათლება. შესაძლებელია, ასევე, სასამართლო გადაწყვეტილებათა გამოთხოვა სასამართლოსთვის მიმართვისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადების გაგზავნის გზით.

აღსანიშნავია, რომ იმ ქვეყნებშიც კი, სადაც სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტია დადგენილი, შესაბამისი დასაბუთებული ინტერესის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია სასამართლო სხდომათა დახურვა და მასზე მიღებული აქტების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა. ე.ი. ზოგადი წესის თანახმად სასამართლო პროცესზე მიმდინარე ინფორმაცია, ზეპირი თუ წერილობითი სახით არის ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, თუმცა აღნიშნული, შესაძლებელია, შეიზღუდოს გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ შესაბამისი დასაბუთების არსებობის პირობებში. სასამართლო პროცესზე თუ გადაწყვეტილებაზე წვდომის შეზღუდვის საფუძველი შესაძლებელია იყოს სახელმწიფო თუ კომერციული საიდუმლოების გასაჯაროებისთვის თავის არიდება, არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვა, მოწმეთა თუ მონაწილე პირთა უსაფრთხოება და სხვა.

<u>სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტის სიტემებისთვის დამახასიათებელია შემდეგი მიდგომები:</u>

- ქვეყნის უმაღლესი საკანონდებლო აქტი უშვებს სასამართლო გადაწყვეტილებათა სრული სახით გაცემის/გამოქვეყნების შესაძლებლობას.
- სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის საკითხი დეტალურად არის დარეგულირებული ინფორმაციის თავისუფლების შესახებ სპეციალური კანონით.
- გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია სრული სახით, მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვის გარეშე;
- ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს როგორც სასამართლოს შემაჯამებელი, ისე შუალედური აქტები;
- ხელმისაწვდომია საქმის მასალები, მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტთა დასკვნები და ა.შ.;
- სასამართლოს შუალედურ/შემაჯამებელ გადაწყვეტილებათა თუ საქმის მასალებზე წვდომა შესაძლებელია შეიზღუდოს გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ შესაბამისი დასაბუთების არსებობის პირობებში;
- გადაწყვეტილებები ქვეყნდება პროაქტიულად, სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილ ვებ-გვერდზე;
- რიგ შემთხვევებში სპეციალურად პრესისა და იურიდიული განათლების არმქონე პირთათვის ასევე ქვეყნდება სასამართლო გადაწყვეტილებათა მოკლე მიმოხილვები;
- ვებ-გვერდები არის მომხმარებელზე გათვლილი;
- როგორც წესი, ვებ-გვერდით სარგებლობა უფასოა.

მაგალითები

სასამართლო გადაწყვეტილებათა და საქმის მასალების ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტის რეჟიმებს შორის მნიშვნელოვანია ისეთი საერთაშორისო სასამართლოები , როგორიც **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოა.**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემთხვევაში აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია სასამართლო წესებით.[2] კერძოდ 33[1]-ე მუხლი ადგენს, სასამართლო კანცელარიაში დაცული ნებისმიერი დოკუმენტის ღიაობის პრინციპს და აღნიშნავს, რომ ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი დავის მხარეების, თუ საქმეში ჩართული მესამე მხარეების მიერ, არის ხელმისაწვდომი როგორც პროცესის მონაწილეებისთვის, ისე ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირისთვის. დოკუმენტების ხელმისაწვდომობა შესაძლებელია, შეიზღუდოს სასამართლო კოლეგიის პრეზიდენტის მიერ ან მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დოკუმენტებისა თუ მათი ნაწილის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა გამართლებული უნდა იყოს მორალის, საჯარო ინტერესის, სახელმწიფო უსაფრთხოების, არასრულწლოვანთა თუ კერძო პირთა ვინაობის დაფარვის ინტერესებიდან გამომდინარე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა სასამართლოს მიერ უზრუნველყოფილია მათი შესაბამის ბაზაში - HUDOC გამოქვეყნებით.[3] სასამართლო წესების 47[1]-ე მუხლი აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური საჩივრის წარდგენის დროს მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს საკუთარი ვინაობის დაფარვა. მსგავსი შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული და ამართლებდეს გადახვევას სასამართლო გადაწყვეტილებათა სრული სახით ხელმისაწვდომობის ზოგადი წესიდან. არანაკლებ მნიშვნელოვანია **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.** საქმეში *Pretto & Others v Italy* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ხაზგასმულ იქნა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სხდომათა საჯაროობის პრინციპს ეწინააღმდეგება ისეთი პრაქტიკა, როდესაც სამართალწარმოება სასამართლოში (administration of justice) მიმდინარეობს ფარულად, შესაბამისი საჯარო კონტროლის არარსებობის პირობებში. საქმეებში *Werner v Austria* და *Szucs v Austria* სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა იქიდან გამომდინარე, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მიერ დაირღვა საკუთარი ვალდებულება, ხელმისაწვდომი გაეხადა სასამართლოს გადაწყვეტილება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის და ნაცვლად ამისა, მასზე წვდომა მხოლოდ პირთა შეზღუდულ წრეს გააჩნდა.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წესდება ზოგადად ადგენს სასამართლო სხდომებისა და მიღებული გადაწყვეტილებების საქვეყნოებისა და გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტებს. წესდების 31-ე მუხლის თანახმად ყველა სასამართლო სხდომა არის ღია. სასამართლო პროცესი შესაძლებელია დაიხუროს და არ იყოს დასასწრებად ხელმისაწვდომი მედიისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის მხოლოდ კონკრეტული საჭიროების არსებობის შემთხვევაში.[4] წესდების 37-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილება

---

[2] Rules of Court, 01.06.2015, ხელმისაწვდომია: http://www.echr.coe.int/Documents/Rules_Court_ENG.pdf.

[3] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ონლაინ ბაზა, ხელმისაწვდომია: http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/ .

[4] Art.31: 'The hearing in court shall be public, unless the Court of Justice, of its own motion or on application by the parties, decides otherwise for serious reasons', http://curia.europa.eu/jcms/upload/docs/application/pdf/2008-09/statut_2008-09-25_17-29-58_783.pdf

ცხადდება საჯაროდ. მოცემული მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე სახის გამონაკლისებს მოცმული წესიდან, შესაბამისად, ცხადია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სხდომა დაიხურება 31-ე მუხლის საფუძველზე, საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება ცხადდება ღია სასამართლო სხდომაზე. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ქვეყნდება შესაბამის ონლაინ ბაზაში.[5] გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ქვეყნდება სრული სახით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო მიიღებს გადაწყვტილებას, დაფაროს იურიდიული თუ ფიზიკურ პირთა სახელები. მსგავსი გადაწყვეტილება სასამართლომ შესაძლებელია, მიიღოს საკუთარი ინიციატივით ან დასაბუთებული განცხადების საფუძველზე. გადაწყვეტილებათა დეპერსონალიზაცია ჩვეულებრივ გამოიხატება პირთა სახელების ინიციალების გამოყენებაში. ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ნებისმიერი დოკუმენტის ხილვა შესაძლებელია რაიმე სახის საფასურის გარეშე, ნებისმიერი პირისთვის. ფართო საზოგადოებისთვის, მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობასთან ერთად, ასევე უზრუნველყოფილია მათი მოკლე შეჯამებების გამოქვეყნება მოცემულ ვებ-გვერდზე. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადაწყვტილებების ხელმისაწვდომობისათვის ისეთი პროფესიის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც არ არიან კავშირში იურისპრუდენციასთან, შესაბამისად, არ აქვთ სპეციფიკური ტერმინებისა თუ პრინციპების ცოდნა.

ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი და კანადა ისტორიულად წარმოადგენენ ქვეყნებს სადაც ხელისუფლების სასამართლო შტოს გამჭვირვალობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და მიჩნეულია, რომ ყველაფერი, რაც ხდება სასამართლო დარბაზში, არის საზოგადოების საკუთრება. აღნიშნული ეხება როგორც სასამართლო პროცესების ღიაობას, ისე სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობას ფართო საზოგადოებისათვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აშშ-ს კონსტიტუცია არ შეიცავს ჩანაწერს, რომელიც კონკრეტულად სასამართლო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გარანტი იქნებოდა, თუმცა აღნიშნული გამომდინარეობს შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველი დამატებიდან, რომელიც ადგენს გამოხატვის თავისუფლებას.[6] ერთ-ერთი პირველი და უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მოცემულ საკითხზე მოსამართლე ბურგერის მიერ მიღებულ იქნა საქმეში რიჩარდი ვირჯინიის წინააღმდეგ. მოსამართლემ დაადგინა, რომ „პროცესი არის საჯარო ხასიათის მოვლენა. ყველაფერი, რაც ხდება სხდომათა დარბაზში, არის საჯარო საკუთრება“.

დიდ ბრიტანეთში სასამართლო პროცესების ხელმისაწვდომობის საკითხები დარეგულირებულია სასამართლო საპროცესო კანონმდებლობით.[7] სამოქალაქო, ისევე როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს და მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილებები და განჩინებები, რომლებიც გამოცხადდა საჯაროდ სასამართლო სხდომაზე.[8]

[5] http://curia.europa.eu/juris/recherche.jsf?cid=585243
[6] https://www.law.cornell.edu/constitution/first_amendment.
[7] Access to Judicial Information Report, გვ.36.
[8] Civil Procedure Code, სექცია 5.4C(a).

კანონმდებლობით დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის ზოგადი მაღალი სტანდარტი, რომლის თანახმადაც, ნებისმიერ დაინტრესებულ პირს შეუძლია, მიიღოს ისინი სრულყოფილი სახით. აღსანიშნავია, რომ მოცემული ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი. კერძოდ, პროცესის მონაწილეს შეუძლია დააყენოს შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე და მოითხოვოს მისი ვინაობის დაფარვა.

კანადაში პირველი ინსტანციის, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება სრული სახით პროაქტიულად ქვეყნდება შესაბამის ვებ-გვერდზე.[9] კანადის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ქარტიის პირველი სექცია ადგენს, რომ ქარტიით განმტკიცებული უფლებები შესაძლებელია, შეიზღუდოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდვა აუცილებელია თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე. კონსტიტუციის 1-ლი სექციის მეორე ნაწილით გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლება, ხოლო 24-ე მუხლით კი სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. სწორედ აღიშნული პრინციპებიდან გამომდინარეობს სასამართლო პროცესებისა და გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა ფართო საზოგადოებისთვის.

სასამართლო გადაწყვეტილებათა მაღალი ხელმისაწვდომობით გამოირჩევიან ისეთი ქვეყნებიც, როგორიცაა **ლიტვა, ბოსნია და ჰერცეგოვინა, სომხეთი** და **სლოვენია.** სასამართლო სხდომათა საქვეყნოობა წარმოადგენს სამართალწარმოების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს ლიტვაში.[10] სასამართლო გადაწყვეტილებების სრული ტექსტი ქვეყნდება ეროვნული სასამართლო ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე. ამასთან კანონი ხაზს უსვამს, რომ სერვისით სარგებლობა არის უფასო და ვებ გვერდი უნდა შეიცავდეს სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით ძებნის საშუალებებს. <u>გადაწყვეტილებები ქვეყნდება პერსონალური და საიდუმლო მონაცემების დაფარვით.</u>[11] <u>მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლო გადაწყვეტილებები გაიცემა სრული სახით სასამართლოსადმი საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადებით მოთხოვნის შემთხვევაში.</u> ლიტვის კანონი საზოგადოების საჯარო ინფორმაციით უზრუნველყოფის შესახებ აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია შეიძლება გაიცეს პირის თანხმობის გარეშე, თუ აღნიშნული მონაცემები განხილულ იქნა ღია სასამართლო სხდომაზე ან თუ მისი გამჟღავნება ხელს შეუწყობს დანაშაულის გამოვლენას. ამასთან, კანონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჯარო პირთა პირადი ცხოვრების ამსახველი ცნობები შესაძლებელია გამოქვეყნდეს ამ პირთა თანხმობის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული უკავშირდება ისეთ მოვლენებს, რომლებიც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელია. [12]

---

[9] https://www.canlii.org/en/.

[10] The Law of Lithuania on Court, Art.34,

[11] The Law of Lithuania on Court, Art.39 (1).

[12] The Law of Lithuania on the Provision of Information to the Public, Art.14, http://www.rti-rating.org/wp-content/uploads/Lithuania.pdf.

სასამართლო გადაწყვეტილებათა ონლაინ ხელმისაწვდომობისა და პროაქტიული გამოქვეყნების მხრივ პროგრესული პრაქტიკით გამოირჩევა ბოსნიას და ჰერცოგოვინა, სადაც ყველა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება ხდება შესაბამის ვებ-გვერდზე, სრული სახით.[13]

სომხეთის კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო სხდომები ღიაა დასწრებისთვის მედიისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სასამართლო სხდომა შესაძლებელია, დაიხუროს მხოლოდ არგუმენტირებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მორალის, საჯარო წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოების, კერძო პირთა და არასრულწლოვანთა ინტერესებიდან გამომდინარე.[14] სომხეთის რაიონულ, სააპელაციო და უზენაეს სასამართლოთა გადაწყვეტილებები ქვეყნდება პროაქტიულად, შესაბამისად, ისინი ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის. პორტალზე ქვეყნდება ასევე სხდომათა დღის წესრიგი, შესაძლებელია სასამართლო ბაჟის გადახდა და სხვა სერვისებით სარგებლობა. სასამართლო გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის სრული სახით მხარეთა პერსონალური მონაცემების დაფარვის გარეშე.[15] ამასთან, გადაწყვეტილებები ბეჭდური სახით არის ხელმისაწვდომი შესაბამის სასამართლოთა კანცელარიებში.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ **სლოვენიის** კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოში დაცული ინფორმაციის მიმართ მოქმედებს ღიაობის ზოგადი პრეზუმფცია, ხოლო ინფორმაციის დახურვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთებული იქნება, რომ ინფორმაციის გამჟღავნებამ შესაძლებელია, ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულების ინტერესებს. შესაბამისად სასამართლოს ევალება ე.წ. ზიანის ტესტის გამოყენება.[16] ზიანი უნდა იყოს რეალური და არსებული. ამასთან ინფორმაციის გაცემაზე უარი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ლეგიტიმური, თუ ინფორმაციის გასაჯაროების ინტერესი არის უფრო დაბალი, ვიდრე მის გაცემაზე უარის თქმის საჭიროება.

შეზღუდული ხელმისაწვდომობა

სისტემები, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებათა შეზღუდული ხელმისაწვდომობით გამოირჩევა, მნიშვნელოვან წილად ემსახურება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, მათ შორის კი პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზანს. კერძოდ, მსგავსი იურისდიქციის მქონე ქვეყნებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის

[13] http://www.sudbih.gov.ba/?jezik=e

[14] Judicial Reform Index for Armenia, December 2012, Pg. 64, factor 23, http://www.americanbar.org/content/dam/aba/directories/roli/armenia/armenia_jri_vol_iv_english_12_2012.authcheckdam.pdf

[15] Accessibility Of Judicial Decisions In The EBRD's Countries Of Operations: A Comparative Review, http://2015.lit-ebrd.com/articles/article1.html

[16] Access to Court Records and FOIA as a Legal Basis – Experience of Slovenia, pg.4, para.4 https://www.ip-rs.si/fileadmin/user_upload/Pdf/clanki/Access_to_court_records_and_FOIA_as_a_legal_basis_-_experience_of_Slovenia.pdf

ინტერესებს შორის ბალანსის დადგენისას ნაკლებ მნიშვნელოვან სიკეთედ არის მიჩნეული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უპირატესობა პერსონალურ მონაცემთა დაცვას ენიჭება. სასამართლო გადაწყვეტილებები თუ შუალედური აქტები ხელმისაწვდომია მხოლოდ დაშტრიხული სახით, რაც გამორიცხავს მხარეთა თუ პროცესში მონაწილე სხვა პირთა პირდაპირი თუ ირიბი იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

მართალია, მსგავსი ქვეყნები სასამართლო გადაწყვეტილებათა თუ სხვა შუალედურ შემაჯამებელ აქტთა დაბალი ხელმისაწვდომობით ხასიათდებიან, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს სასამართლო გადაწყვეტილებათა პროაქტიული გამოქვეყნების ფუნქციონალური და მომხმარებელზე გათვლილი ვებ-გვერდის არსებობას. ვებ-გვერდებზე ქვეყნდება სასამართლო გადაწყვეტილებათა მხოლოდ მცირე ნაწილი. ე.ი. გადაწყვეტილებები მხოლოდ ისეთ საქმეებზე, რომლებიც სასამართლოს შეფასებით არის პრეცედენტის დამდგენი ან განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის მატარებელი. გადაწყვეტილებები ქვეყნდება მხოლოდ დაშტრიხული სახით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომასამართლე მიიჩნევს, რომ კონკრეტული გადაწყვეტილება მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მატარებელია, დაუშვებელია გადაწყვტილების სრული სახით გამოქვეყნება, პერსონალურ მონაცემთა დაფარვის გარეშე.

<u>სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის დაბალი სტანდარტის სიტემებისთვის დამახასიათებელია შემდეგი მიდგომები:</u>

- პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შორის ბალანსი დარღვეულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სასარგებლოდ;
- უმაღლესი საკანონმდებლო აქტი კრძალავს გადაწყვეტილებათა სრული სახით გაცემის შესაძლებლობას;
- გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია დაშტრიხული სახით.
- არ არის ინდეტიფიცირებადი მხარეები თუ პროცესში მონაწილე სხვა პირები;
- მოსამართლეებს არ აქვთ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვიტონ არსებობს თუ არა გადაწყვტილებათა სრული სახით გაცემის ინტერესი, რადგან აღნიშნული წინააღმდეგობაში იქნებოდა ქვეყნის უზენაეს კანონთან (კონსტიტუციასთან).
- პროაქტიულად ქვეყნდება სასამართლო გადაწყვეტილებათა მხოლოდ ის მცირე ნაწილი, რომელიც სასამართლოს შეფასებით, მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მატარებელია

მაგალითები

იმ ქვეყნებს შორის რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებათა გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობას პერსონალურ მონაცემთა დაცვას ანიჭებენ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია **გერმანია.** სწორედ ამიტომ, გერმანიაში წლების გამავლობაში ქვეყნდებოდა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მხოლოდ მცირე ნაწილი. 90-იანი წლების ბოლოს გამოქვეყნებულ ერთ-

ერთი კვლევაში აღნიშნულია, რომ იმ დროისთვის გერმანიაში გამოქვეყნებული იყო სასმართლოთა მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების მხოლოდ 0.5%. შედარებით მაღალი იყო მაჩვენებელი ფედერალური სასამართლოების დონეზე - 2%.[17] 1998 წელს გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების და შესაბამისად ყოველი ცალკეული სასამართლოს უფლებამოსილებას.[18] არსებული მდგომარეობით, გერმანიის სასამართლოები აქვეყნებენ მხოლოდ იმ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მატარებელია. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ისინი ქვეყნდება დეპერსონიფიცირებული სახით, მხარეთა თუ პროცესში მონაწილე სხვა პირთა მონაცემების დაფარვით.[19] გადაწყვეტილებათა სრული სახით გამოქვეყნება წინააღმდეგობაში იქნებოდა გერმანიის კონსტიტუციასთან. შესაბამისად, გერმანიის ყველა დონის სასამართლოს აქვს უფლება გამოაქვეყნოს საკუთარი გადაწყვეტილებები, თუმცა მხოლოდ დეპერსონიფიცირებული სახით.

სასამართლო გადაწყვეტილებათა შეზღუდული ხელმისაწვდომობით ხასიათდება, მაგალითად, **ხორვატია**. ხორვატიის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს აქვს უფლება, უარი უთხრას განმცხადებელს გადაწყვეტილების სრული სახით მიწოდებაზე იმ შემთხვევაში, თუ ჩათვლის, რომ აღნიშნული ეწინააღმდეგება ისეთ ლეგიტიმურ ინტერესს, როგორიც სხვათა უფლებები და თავისუფლებებია. ხორვატიაში 2003 წლის დეკემბრიდან იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერით შექმნილ სპეციალურ ვებ-პორტალზე ქვეყნდება ინფორმაცია როგორც სასამართლოს ადმინისტრირების, ისე კონკრეტული განხილული საქმეების შესახებ, რომლებიც თავისი არსით განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია.[20] გადაწყვეტილებები ქვეყნდება დაშტრიხული სახით. კანონმდებლობის თანახმად, უნდა დაიფაროს ფიზიკური თუ იურიდიული პირის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია: პირის სახელი/დასახელება, დაბადების/რეგისტრაციის ადგილი და თარიღი, პირადობის ნომერი, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.[21] მიუხედავად აღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ ბოლო წლების განმავლობაში ხორვატიამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა სასამართლო აქტებისა და გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მხრივ. 2003 წელს მიღებული კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ უფლებას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია ხელისუფლების ნებისმიერი შტოდან, მათ შორის სასამართლოდან.[22] ხორვატიის კონსტიტუცია უფლებას ანიჭებს ჟურნალისტებს, მიიღონ

[17] Die Publikation von Gerichtsentscheidungen in der Bundesrepublik Deutschland - Entwicklung und Veröffentlichungslage, Reinhard Walker, http://www.jurpc.de/jurpc/show?id=19980100

[18] BVerwG 6 C 3.96, http://www.bverwg.de/entscheidungen/entscheidung.php?ent=260297U6C3.96.0

[19] Practicing Open Data: Publishing Court Decisions in Germany, http://blog.transparency.org/2015/09/28/practicing-open-data-publishing-court-decisions-in-germany/

[20] http://www.sudacka-mreza.hr/

[21] The Public Identification of Individuals Involved in Court Proceedings, Graham Sutton, 2016, para.33.

[22] Report on Access to Judicial Information, Open Society Justice Initiative, pg 10, para. 2, https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=3&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwicor2u3r7

წვდომა სასამართლოში დაცულ ინფორმაციაზე. ხორვატიის კანონმდებლობა ავალდებულებს საჯარო დაწესებულებებს, შექმნან და აწარმოონ მათ მიერ დაცული ინფორმაციის მონაცემთა ბაზა და ხელმისაწვდომი გახადონ ის ონლაინ რეჟიმში.

სასამართლოს უფლება აქვს, უარი თქვას მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან თუ მისი გაცემა ზიანს აყენებს გამოძიების ინტერესებს, სამართალწარმოების მიზნებს, სხვათა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას, გარემოს, მონეტარული პოლიტიკის გატარებას ან სხვათა ინტელექტუალურ საკუთრებას.[23]

შუალედური მიდგომა

იმ სისტემებისთვის, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებაა ხელმისაწვდომობის შუალედური მიდგომით გამოირჩევიან დამახასიათებელია უმაღლესი საკანონდებლო აქტით საკითხის მხოლოდ ზოგადი დარეგულირება. მსგავსი აქტები არ კრძალავენ გადაწყვეტილებათა თუ შუალედურ (საპროცესო მოქმედებათა შემაჯამებელ) აქტთა სრული სახით გაცემას. საკითხი დეტალურად არის დარეგულირებული სპეციალური კანონმდებლობით. რიგ შემთხვევებში, სასამართლო გადაწყვეტილებათა გაცემის საკითხი საკანონმდებლო დონეზე დეტალურად საერთოდ არ არის დარეგულირებული და ნაცვლად ამისა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლეს/სასამართლოს მინიჭებული აქვს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, განსაზღვროს გადაწყვეტილებაა გაცემის საკითხი. საკანონმდებლო დონეზე იმპერატიული ჩანაწერების ნაკლებობა, თავის მხრივ, გამოხატულებას ჰპოვებს რეგიონულ თუ სასამართლო დონეზე გადაწყვეტილებათა გაცემის განსხვავებული სტანდარტის არსებობაში. როგორც წესი, მსგავს ქვეყნებში სასამართლო გადაწყვეტილებათა გაცემის წესი არ არის დარეგულირებული ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საკანონმდებლო აქტით. შუალედური მიდგომის მქონე ზოგიერთ სისტემაში სასამართლო გადაწყვეტილებათა სრული სახით ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია საქმის კატეგორიაზე. სისხლის სამართლის საქმეების შემთხვევაში გადაწყვეტილებები არის სრულად ხელმისაწვდომი, რადგან ითვლება, რომ ყველა საქმე, სადაც პირს ბრალი ედება სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი ქმედების განხორციელებაში, არის საზოგადოების ინტერესის საგანი. მსგავსი ქმედებით საფრთხე ექმნება საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას. სისხლის სამართლის საქმეებისგან განსხვავებით, სრული სახით არ არის ხელმისაწვდომი გადაწყვეტილებები სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის დავებზე.

PAhWJIcAKHZKFBwsQFggmMAI&url=http%3A%2F%2Fwww.right2info.org%2Fresources%2Fpublications%2Fpublications%2FAccess%2520to%2520Judicial%2520Information%2520Report%2520R-G%25203.09.DOC&usg=AFQjCNH-rmyJaH1MthRpLXrwtwRDXjFGwg&sig2=NwXuO1SnsctzL8oiwoqRTA&bvm=bv.134495766,d.ZGg

[23] Law on the Right to Access Information, Art. 1, Art. 8, http://www.rti-rating.org/wp-content/uploads/Croatia.pdf.

სასამართლო გადაწყვეტილებაა ხელმისაწვდომობის შუალედური მიდგომის სისტემებში, როგორც წესი, ფუნქციონირებს სპეციალურად სასამართლო გადაწყვეტილებათა პროაქტიული გამოქვეყნებისთვის შექმნილი ვებ-გვერდები. მსგავს ვებ-გვერდებზე ქვეყნდება სასამართლოთა მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება. აღნიშნული აქტები ქვეყნდება დაშტრიხული სახით, რაც გამორიცხავს პროცესში მონაწილე პირთა იდენტიფიცირების შესაძლებლობას. სრული სახით საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია გადაწყვეტილებები მხოლოდ იმ საქმეებზე, რომლებიც, სასამართლოს შეფასებით, განსაკუთრებით მაღალი საჯარო ინტერესის მატარებელია.

<u>სასამართლო გადაწყვეტილებათა შუალედური ხელმისაწვდომობის სიტემებისთვის დამახასიათებელია შემდეგი მიდგომები:</u>

- უმაღლესი საკანონმდებლო აქტი არ კრძალავს გადაწყვტილებათა სრული სახით გაცემის შესაძლებლობას;
- სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის საკითხი დარეგულირებულია სპეციალური კანონმდებლობით;
- სამართალწარმოების პროცესში სასამართლოს მიერ მიღებულ ინფორმაციაზე არ ვრცელდება ინფორმაციის თავისუფლების აქტი;
- სასამართლოებს/მოსამართლეებს მინიჭებული აქვთ ფართო დისკრეციული უფლებამოსილება;
- სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის სტანდარტი შესაძლებელია, განსხვავდებოდეს რეგიონის/სასამართლოს მიხედვით;
- სასამართლო გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია სრული სახით იმ შემთხვევაში, თუ საქმე არის განსაკუთრებული საჯარო ინტერესის მატარებელი ან თავისი არსით წარმოადგენს პრეცედენტულ გადაწყვეტილებას, რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია სამართლებრივი პრაქტიკის განვითარების მიზნებისთვის;
- სასამართლო გადაწყვეტილებები ქვეყნდება პროაქტიულად;
- ხდება საქმეთა დიფერენცირება დავის კატეგორიის მიხედვით- სამოქალაქო, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის მიხედვით.

მაგალითები

სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის შუალედური მიდგომით ხასიათდებიან ისეთი ქვეყნები როგორიც არის: შოტლანდია, ირლანდია, შვედეთი, ესტონეთი, ლატვია, ახალი ზელანდია, ავსტრალია და სხვა.

შოტლანდიის ინფორმაციის თავისუფლების აქტის თანახმად, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს და მიიღოს შოტლანდიის სასამართლოებიდან საჯარო ინფორმაცია.[24] ამასთან,

[24] Freedom of Information (Scotland) Act 2002, http://www.legislation.gov.uk/asp/2002/13/contents.

შოტლანდიის სასამართლოებისა და ტრიბუნალების სამსახურს ეკისრება ვალდებულება, პროაქტიულად გამოაქვეყნოს საკუთარ ვებ-გვერდზე ინფორმაცია განხილული საქმეების შესახებ და აცნობოს მომხმარებელს დეტალები კონკრეტული საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების მიღების წესების შესახებ.[25] აღნიშნული ეხება სასამართლოს ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოთხოვას, თუმცა არ ვრცელდება სასამართლოში სამართალწარმოების პროცესში შექმნილ ინფორმაციაზე. სასამართლო დოკუმენტები ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ გამონაკლისს იმ ინფორმაციიდან, რომლისადმი წვდომაც აქვს შოტლანდიის ინფორმაციის კომისარს (სპეციალური საზედამხედველო ორგანო).[26] აღნიშნული არ გამორიცხავს სასამართლო გადაწყვეტილებებისა თუ აქტების ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტის არსებობას. ამ შემთხვევაში გამოიყენება სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც ნიშანდობლივად სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკითხებს არეგულირებს. სწორედ აღნიშნულზე დაყრდნობით, შოტლანდიის ყველა დონის სასამართლო აქვეყნებს საკუთარ ვებ-გვერდზე იმ გადაწყვეტილებებს თუ მოსამართლეთა განსხვავებულ მოსაზრებებს, რომლებზეც არსებობს განსაკუთრებული საჯარო ინტერესი ან რომლებიც პრეცედენტის შექმნილია კონკრეტული ნორმის ინტერპრეტაციის საკითხში. აღსანიშნავია, რომ მსგავსი გადაწყვტილებები ქვეყნდება სრული სახით, მხარეთა პერსონალური მონაცემების დაფარვის გარეშე. ამასთან, გადაწყვეტილებათა გამოქვეყნება სრულად არის დამოკიდებული მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე.[27] შესაბამისად, ამ მხრივ მოსამართლეებს მოქმედების ფართო თავისუფლება აქვთ მინიჭებული კანონმდებლობით.

ირლანდიის კონსტიტუცია არ მოიცავს ერთმნიშვნელოვან მითითებას ინფორმაციის თავისუფლებაზე. ნაცვლად ამისა, საკითხი დარეგულირებულია სპეციალური კანონით - ინფორმაციის თავისუფლების აქტით.[28] მსგავსად შოტლანდიის კანონმდებლობისა, ირლანდიაში მოქმედი ინფორმაცის თავისუფლების აქტი არ ვრცელდება სასამართლოში სამართალწარმოების მიზნით დაცულ ინფორმაციაზე. სასამართლო ოფიცერთა აქტის თანახმად, საქმესთან დაკავშირებული ყველა მასალა ინახება აღნიშნული დავის განმხილველ მოსამართლესთან. სწორედ მოცემული მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს კონკრეტულ საქმეზე ინფორმაციის განმცხადებლისთვის მიწოდება ან მიწოდებაზე უარის თქმა.[29] მიუხედავად აღნიშნულისა, ირლანდიის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ქვეყნდება შესაბამის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.[30] აღსანიშნავია, რომ უმაღლესი სასამართლოს

[25] Model Publication Scheme 2016, http://www.scotcourts.gov.uk/about-the-scottish-court-service/contact-us/freedom-of-information/model-publication-scheme-2012
[26] http://www.itspublicknowledge.info/Law/FOISA-EIRsGuidance/section37/Section37.aspx
[27] http://www.scotland-judiciary.org.uk/8/0/Sentencing-Statements
[28] Constitution of Ireland, https://www.constitution.ie/Documents/Bhunreacht_na_hEireann_web.pdf
[29] http://www.courts.ie/Courts.ie/Library3.nsf/PageCurrent/0C2BB029A1157BA780257FC0004E8631?opendocument&l=en
[30] http://highcourtsearch.courts.ie/hcslive/cslogin

გადაწყვტილებები ქვეყნდება სრული სახით, კერძო პირთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაშტრიხვის გარეშე.

შვედეთის კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო პროცესები ღიაა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ეძლევა შესაძლებლობა დაესწროს მათ.[31] შვედეთის კონსტიტუციით განმტკიცებულია ინფორმაციის თავისუფლების პრინციპი, რომლის თანახმადაც, შვედეთის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, მოითხოვს და მიიღოს საჯარო დაწესებულებებში დაცული ოფიციალური ინფორმაცია.[32] რაც შეეხება სასამართლო დოკუმენტებსა და გადაწყვეტილებებთან წვდომას, მოცემული საკითხი დარეგულირებულია პრესის თავისუფლების შესახებ აქტით, რომელიც აღნიშნავს, რომ მედიის წარმომადგენლებსა და ფართო საზოგადოებას აქვს უფლება, მიიღოს სასამართლო დოკუმენტები, მათ შორის - კონკრეტულ დავებთან დაკავშირებული ინფორმაცია. მოცემული აქტით არის დარეგულირებული დოკუმენტების მოთხოვნისა და მიღების დამატებითი სტანდარტები. სახელმწიფო დაწესებულებები ვალდებულნი არიან საჯარო ინფორმაციის რეესტრში დაარეგისტრირონ ყველა დოკუმენტი და მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომი გახადონ ისინი საზოგადოებისთვის. მოცემული ზოგადი წესიდან გამონაკლის წარმოადგენს ისეთი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამაც შესაძლებელია, საფრთხე შეუქმნას სახელმწიფო უსაფრთხოებას, საერთაშორისო ურთიერთობებს, საგადასახადო რეჟიმს, კერძო პირის ინტერესებს თუ დანაშაულის პრევენციას.

2014 წელს შვედეთში შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი, რომლის გამოყენებითაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, მოიძიოს ინფორმაცია კონკრეტული პირის ნასამართლეობის შესახებ და მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილებების ასლები სრული სახით. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ვებ-გვერდი ინტენსიური კრიტიკის ქვეშ მოექცა, რის გამოც მან ორჯერ შეწყვიტა მუშაობა, თუმცა დღეის მდგომარეობით ის შეფერხებების გარეშე ფუნქციონირებს. როგორც შვედეთში აღნიშნავენ, ვებ-გვერდის არსებობა გამართლებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპით, რომელიც შვედეთის ხელისუფლების საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. როგორც ეს არა ერთი ნაშრომშია მითითებული, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის პრინციპი წარმოადგენს შვედეთის ხელისუფლებისა და საზოგადოების სიამაყის წყაროს.[33] სასამართლო გადაწყვეტილებათა გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მიდგომა განსხვავდება საქალაქო სასამართლოების მიხედვით. სადაც ინფორმაცია დაცულია ადგილზე, შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მონაცემებს

[31] Ministry of Justice of Sweden, Public Access to Information and Secrecy with Swedish Authorities, ხელმისაწვდომია: http://www.regeringen.se/content/1/c6/03/68/27/b9447d55.pdf.

[32] Constitution of Sweden, ხელმისაწვდომია: http://www.parliament.am/library/sahmanadrutyunner/Sweden.pdf

[33] Transparency in the EU Council of Ministers: An Institutional Analysis, ხელმისაწვდომია: http://dare.uva.nl/document/2/135720; M. Pasquier and J.-P. Villeneuve, 'Organizational barriers to transparency: a typology and analysis of organizational behaviour tending to prevent or restrict access to information', International Review of Administrative Sciences 147.

სასამართლოში. განსხვავებული მიდგომაა უზენაესი სასამართლოს შემთხვევაში, რომელიც საკუთარ გადაწყვეტილებებს აქვეყნებს სპეციალურ ჟურნალში.[34]

ესტონეთის კანონში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ აღნიშნულია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული და ძალაში შესული ყველა გადაწყვეტილება ქვეყნდება შესაბამის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია გასაცნობად ფართო საზოგადოებისთვის.[35] მოცემულ ვებ-გვერდთან დაკავშირებული სხვა დეტალები მოწესრიგებულია ესტონეთის სასამართლო აქტით, რომელიც აღნიშნავს, რომ სასამართლოთა საინფორმაციო სისტემა (KIS) არის სახელმწიფო მონაცემთა ბაზა, დაფუძნებული იუსტიციის სამინისტროს მიერ. მონაცემთა ბაზის შექმნის მიზანია სასამართლო საქმიანობის ორგანიზება, სტატისტიკის წარმოება და სასამართლო გადაწყვეტილებათა სისტემატიზაცია და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.[36] ბაზის ადმინისტრირებას ახდენს ესტონეთის იუსტიციის სამინისტრო, თუმცა, ვებ-გვერდზე გადაწყვეტილებათა ატვირთვა უშუალოდ იმ სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს, რომლის მიერაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა ერთიან, მომხმარებელზე ორიენტირებულ ბაზაში გამოქვეყნება წარმოადგენს ესტონეთის მთავრობის მიერ არჩეული ელექტრონული გამჭვირვალობის მხოლოდ ერთ-ერთ მიმართულებას. აღნიშნული სხვათა შორის ასევე მოიცავს e-file-ს, რომლის საშუალებითაც დავის მხარეებს შეუძლიათ წარადგინონ დოკუმენტები სასამართლოში ელექტრონულად, მოქალაქეთა ჩართულობაზე დაფუძნებულ ქსელს (participation web), რომლის საშუალებითაც მოქალაქეებს შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი მოსაზრება კანონპროექტებზე ან წარადგინონ პეტიციები და სხვა.[37]

რაც შეეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვას გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებებში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კანონი ადგენს, რომ გადაწყვეტილებები ქვეყნდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალიწინებით. საკითხი უფრო დეტალურად მოწესრიგებულია საპროცესო კანონმდებლობით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გადაწყვეტილებები ქვეყნდება სრულად და იფარება მხოლოდ პროცესის მონაწილეთა (დაზარალებული, მოწმეები) და არა ბრალდებულის მონაცემები. ესტონეთის ყველა მოქალაქეს ელექტრონული ID ბარათის მეშვეობით აქვს საშუალება, მიიღოს ერთიანი ელექტრონული ბაზიდან ინფორმაცია ნებისმიერი პირის ნასამართლეობის შესახებ.

[34] http://www.domstol.se/templates/DV_InfoPage____2323.aspx
[35] Art.28.1(29), Public Information Act of Estonia, ხელმისაწვდომია: http://www.rti-rating.org/wp-content/uploads/Estonia.pdf.
[36] Courts Act of Estonia, ხელმისაწვდომია: https://www.riigiteataja.ee/en/eli/511072014010/consolide
[37] Overview of the Publication of Court Judgments in Estonia, Merit Ulvik, pg.3, ხელმისაწვდომია: http://www.ekint.org/ekint_files/File/tanulmanyok/bhgy/overview%20of%20the%20publication%20of%20court%20judgements%20in%20estonia_merit%20ulvik.pdf.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავების შემთხვევაში გადაწყვეტილებები ქვეყნდება კერძო პირთა ვინაობის დაფარვით.[38]

ლატვიის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის თანახმად, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია საჯარო დაწესებულებიდან. ლატვიაში მოქმედებს საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის ღიაობის პრეზუმცია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ითვალისწინებს საწინააღმდეგოს. [39] ამასთან, კანონი მოიცავს საჯარო დაწესებულებათა ფართო განმარტებას, რომლის ფარგლებშიც შედის მმართველობის სასამართლო შტოც.[40] შესაბამისად, სასამართლოს შუალედური თუ შემაჯამებელი გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია კანონით. ამასთან, სამოსამართლო უფლებამოსილებათა შესახებ ლატვიის კანონი არაერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს, რომ სასამართლო პროცესები მიმდინარეობს ღია სხდომებზე და შესაძლებელია, დაიხუროს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. სასამართლო გადაწყვეტილება ყოველთვის ცხადდება საჯაროდ.[41]

რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილებათა მატერიალური სახით ხელმისაწვდომობას, სამოსამართლო უფლებამოსილებათა შესახებ ლატვიის კანონი აღნიშნავს, რომ საკითხზე გადაწვეტილებას იღებს თავად მოსამართლე, მისი ასისტენტი ან სასამართლო კანცელარიის თანამშრომელი. სასამართლო გადაწყვეტილებათა მატერიალური სახით ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემის წესები დარეგულირებულია ყოველი კონკრეტული სასამართლოს შიდა აქტით, რომლებიც, შესაძლებელია, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, რადგან კანონი ამ მხრივ ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოებს.[42] აღსანიშნავია, რომ ლატვიაში მოქმედებს სასამართლო გადაწყვეტილებათა ვებ-პორტალი.[43] აღნიშნული პორტალის ძირითადი მიზანია, უზრუნველყოს სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ვებ-გვერდზე ქვეყნდება ყველა ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებათა ტექსტები. ძებნის კატეგორიებს შორის არის ძებნა მხარეთა სახელების, ისევე, როგორც კომპანიის მიხედვით. შესაბამისად, ვებ-გვერდზე გადაწყვეტილებები შეიძლება გამოქვეყნდეს სრული სახით. თუმცა, როგორც ზემოთ უკვე იქნა ხაზგასმული, აღნიშნული დამოკიდებულია მოსამართლის/სასამართლოს ნებაზე. ვებ-გვერდით სარგებლობისთვის აუცილებელია შესაბამისი დაინტერესებული პირის მიერ რეგისტრაციის გავლა (დარეგისტრირება ფასიანია). ვებ-გვერდის ამოქმედებამდე ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელი იყო შესაბამისი სასამართლოსთვის მიმართვის გზით. თუმცა, პრაქტიკაში

[38] The Public Identification of Individuals Involved in Court Proceedings, Graham Sutton, 2016, para.34.
[39] Freedom of Information Law of Latvia, Section 1 (1), http://www.rti-rating.org/wp-content/uploads/Latvia.pdf
[40] Freedom of Information Law of Latvia, Section 1 (4), http://www.rti-rating.org/wp-content/uploads/Latvia.pdf
[41] The Law of Latvia on Judicial Power, Art.19, http://providus.lv/article_files/1963/original/transp_lv_EN.pdf?1342691474
[42] The Law of Latvia on Judicial Power, Art.4.2, http://providus.lv/article_files/1963/original/transp_lv_EN.pdf?1342691474,
[43] The Latvian Court Verdicts Data Base, https://www.lursoft.lv/lapsaext?act=NISMAIN&l=EN

შეინიშნებოდა შემთხვევები, როდესაც კონკრეტული მოსამართლეების ზღუდავდნენ განმცხადებლის უფლებას მიეღო სასამართლო გადაწყვეტილებათა ასლები.

ახალ ზელანდიაში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებთა ხელმისაწვდომობის პრაქტიკა დიდ ბრიტანეთში არსებული რეგულაციების მსგავსია და გამომდინარეობს სასამართლოთა ღიაობის პრინციპიდან. ქვეყანაში მოქმედებს სასამართლო სხდომებისა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტი, რომელიც მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში და შესაბამისი დასაბუთების არსებობისას შეიძლება, შეიზღუდოს. აღნიშნული შეეხება როგორც სასამართლოს მიერ მიღებულ საბოლოო, ისე შუალედურ გადაწყვეტილებებს. ეს მიდგომა მიზნად ისახავს სასამართლო ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის უზრუნველყოფას.[44]

ახალ ზელანდიაში მოქმედი ინფორმაციის თავისუფლების აქტი არეგულირებს საჯარო ინფორმაციასთან წვდომის ძირითად პრინციპებს, თუმცა ის არ ვრცელდება სასამართლოში მიმდინარე/დასრულებულ საქმეებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნასა და მიღებაზე. როგორც ეს აკადემიურ ნაშრომებშია აღნიშნული, სასამართლოში დაცული ინფორმაცია თავისი არსით განსხვავდება აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა შტოში არსებული მონაცემებისგან. სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნას პროცესში მონაწილე კერძო პირთა ინტერესები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო წლების განმავლობაში მეტ მნიშვნელობას იძენს სამართლიანი სასამართლოს პრინციპი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სასამართლო ხელისუფლების გამჭვირვალობაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალ ზელანდიაში მოქმედებს სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტი, რომლის თანახმადაც სასამართლო პროცესები ღიაა, ხოლო სასამართლო აქტები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნული გამჭვირვალობის პრინციპი შესაძლებელია, შეიზღუდოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, შესაბამისი აუცილებლობისას. აუცილებლობა შესაძლებელია, გამოწვეულ იყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით, სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფით, კერძო პირთა უსაფრთხოება და ხელშეუხებლობით ან სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დაცვით.[45]

ზემოთჩამოთვლილი გარემოებები, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია სასამართლო სხდომათა თუ გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის შეზღუდა, ზოგადი ხასიათის მატარებელია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შუამდგომლობის დაყენებისას მის ავტორს ეკისრება მტკიცების მაღალი ტვირთი, რათა საფუძვლიანად იყოს დასაბუთებული სასამრთლო სისტემის გამჭვირვალობის ზოგადი პრინციპიდან გადახვევა.

[44] Access to Court Records, The New Zealand Experience, Judge David Harvey, გვ.5, პარა.1.
[45] Access to Court Records, The New Zealand Experience, Judge David Harvey, გვ.5, პარა.2.

მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ როდის იწყებს და ასრულებს მოქმედებას სასამართლო ღიაობის პრინციპი. ახალ ზელანდიაში სასამართლო შუალედური თუ საბოლოო გადაწყვეტილებების ისევე, როგორც საქმესთან დაკავშირებული სხვა აქტების ხელმისაწვდომობის პრინციპი მოქმედებს როგორც საქმის მიმდინარეობისას, ისე სასამართლოს მიერ საკითხზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგაც. ბუნებრივია, აღნიშნული მსჯელობა არ ვრცელდება იმ საქმეებზე, რომლებიც დასაბუთებული აუცილებლობის პირობებში დახურულ სხდომებზე მიმდინარეობდა. [46]

ახალი ზელანდიის კანონმდებლობა არ იცნობს სასამართლოთა ვალდებულებას, გამოაქვეყნონ მიღებული გადაწყვეტილებები სპეციალურ ვებ-გვერდზე. ქვეყნაში შექმნილია და მოქმედებს სასამართლო გადაწყვეტილებათა ვებ-პორტალი, თუმცა მასზე გამოქვეყნებულია აქტების მხოლოდ მცირე ნაწილი. აღნიშნულ აქტებში დაშტრიხულია კერძო პირთა სახელები და გვარები.[47] აღსანიშნავია, რომ სასამრთლო გადაწყვეტილებათა ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომობის შემთხვევაში კერძო პირთა პერსონალური მონაცემების დაცვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. კომპრომისული პოზიციის თანახმად, იმისთვის, რომ დაცული იყოს ბალანსი სასამართლო ხელისუფლების გამჭვირვალობასა და პირადი მონაცემების დაცვის აუცილებლობას შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებები ქვეყნდება ელექტრონული სახით სასურველია ისინი გასაჯაროვდეს კერძო პირთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვით.[48]

ავსტრალიის კანონმდებლობით სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობის საკითხი არასრულყოფილად არის მოწესრიგებული. კანონმდებლობა არ არის ერთგვაროვანი და ის არ განამტკიცებს სასამართლო ინფორმაციის ღიაობის პრინციპს. შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებათა გაცემის პრაქტიკა განსხვავდება თითოეული სასამართლოს შემთხვევაში.[49] ავსტრალიის აქტი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ აღნიშნავს, რომ მისი მოქმედება ვრცელდება სასამართლოთა ადმინისტრირების პროცესში წარმოებულ ინფორმაციაზე. შესაბამისად, ინფორმაციის თავისუფლების აქტზე დაყრდნობით დაინტერესებული პირი ვერ მიიღებს სასამართლო გადაწყვეტილებათა ასლებს.[50] ავსტრალიის კანონმდებლობა არ მოიცავს კონკრეტულ მითითებას ინფორმაციის თავისუფლებაზე. მიუხედავად ამისა, კონსტიტუციის ორი მუხლი შეიძლება, განიმარტოს, როგორც აღნიშნული უფლების შემცველი. პირველი არეგულირებს კომუნიკაციის თავისუფლების საკითხებს, თუმცა ავსტრალიის უმაღლესი სასამართლოს განმარტებით, მუხლის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს ინფორმაციის მიღებაზე, რომელიც უკავშირდება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას და არა სასამართლოს მიერ სამართალწარმოების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებებს. მეორე მუხლი აწესრიგებს

[46] Access to Court Records, The New Zealand Experience, Judge David Harvey, გვ.8, პარა.2.
[47] Judicial decisions online: https://forms.justice.govt.nz/jdo/Introduction.jsp
[48] Access to Court Records, The New Zealand Experience, Judge David Harvey, გვ.11, პარა.2.
[49] New South Wales Attorney General's Department, Review Of The Policy On Access To Court Information, pg. 21 http://www.agd.nsw.gov.au/Lawlink/Corporate/ll_corporate.nsf/vwFiles/Access_to_Court_Information.pdf/$file/Access_to_Court_Information.pdf.
[50] Freedom of Information Act of Australia, Art.6, http://www.rti-rating.org/wp-content/uploads/Australia.pdf

მოსამართლეთა უფლებამოსილების საკითხებს. მართალია, ზოგიერთი მკვლევარის განმარტებით, აღნიშნული მუხლი შეიძლება, გამოყენებული იქნეს სასამართლო გადაწყვეტილებებზე წვდომის მისაღებად, თუმცა, პრაქტიკაში, ავსტრალიის სასამართლოები აღნიშნულ პოზიციას არ იზიარებენ.[51] ავსტრალიის კონსტიტუციით უმაღლეს სასამართლოებს მინიჭებული აქვთ ფართო უფლებამოსილება, რაც მოიცავს სასამართლოთა უფლებას, მიიღონ გადაწყვეტილება საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ. მსგავსი უფლებამოსილებით არ სარგებლობენ პირველი ინსტანციის სასამართლოები. შესაბამისად, მათ არ აქვთ უფლება, მესამე პირებზე გასცენ სასამართლო გადაწყვეტილებათა ასლები.[52]

დასკვნა

სასამართლო გადაწყვტილებათა ხელმისაწვდომობისა და პროცესების ღიაობის ზემოთ განხილული საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ **შესაძლებელია სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა კერძო პირთა ინტერესებისა და უფლებების შელახვის გარეშე**. შესაბამისად, მსგავსი სტანდარტის საქართველოში დანერგვის შემთხვევაში ის ვერ გახდება კრიტიკის საგანი, არამედ, აღქმული იქნება, როგორც სასამართლო სისტემის ღიაობის, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულებისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი. ბუნებრივია, არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი არ ზღუდავს ხელმომწერ სახელმწიფოებს დაადგინონ საკუთარ ქვეყნებში სასამართლო სისტემის საქვეყნოობის და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტი. სხვადასხვა საერთაშირისო დოკუმენტის ტექსტი, ისევე, როგორ პრეცედენტული სამართალი, ხაზს უსვამს შესაბამისი ბალანსის დადგენის აუცილებლობას კერძო და საჯარო ინტერესს შორის.

მართლმსაჯულების სისტემისადმი საქართველოში არსებული მაღალი საჯარო ინტერესის არსებობის პირობებში, IDFI მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია, არსებობდეს სასამართლო გადაწყვტილებებისა და პროცესების ხელმისაწვდომობის ზოგადად მაღალი სტანდარტი, როდესაც მისი შეზღუდვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილ კონკრეტულ შემთხვევებში, გარდაუვალი აუცილებლობისას და შესაბამისი დასაბუთებით. სასამართლო გადაწვეტილება უნდა იყო ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნული წესიდან შესაძლებელია, დაიშვას მხოლოდ კანონით დადგენილი გამონაკლისები. სასამართლო გადაწყვეტილებებში არსებული პერსონალური მონაცემების, კომერციული საიდუმლოებისა თუ კონფიდენციალური ინფორმაციის დაფარვა **შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მხარეთა მოტივირებული შუამდგომლობით ან მოსამართლის ინიციატივით.** ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებში პერსონალური თუ სხვა ინფორმაციის ნაწილობრივი დაფარვა

[51] Report on Access to Judicial Information, Open Society Justice Initiative, pg.9.
[52] Report on Access to Judicial Information, Open Society Justice Initiative, pg.11.

ვერასდროს უზრუნველყოფს პირთა მონაცემების ანონიმურობის სრულ დაცვას, რადგან პირის თუ გარემოებების ირიბი იდენტიფიკაციის გამორიცხვა მაინც შეუძლებელი იქნება. ამავე დროს, ინსტიტუციურად შემდგარი ქვეყნებისგან განსხვავებით, ისეთი მყიფე დემოკრატიისა და სამართლებრივი სისტემის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, საჯაროობის მაღალი სტანდარტის არსებობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. სწორედ საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებით შეიძლება ხელისუფლების ყველა შტოს შეცდომების თუ გადაცდომების პრევენცია და ძლიერი საზოგადოებრივი კონტროლის სისტემის უზრუნველყოფა.